



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №13

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 17 ნოემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|----------------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

- ანზორ დევამე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნერიმან ცინცამე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- თამაზ დევამე - საკრებულოს წევრი;
- დიმიტრი ჭეიშვილი - საკრებულოს წევრი;
- ნაზი ფუტკარაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

- ირაკლი პატარიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;

- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 9 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ტბეთის ქუჩაზე, ბათუმის N31 საფოსტო განყოფილების მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხინკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 სექტემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 მარტის N21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აპრილის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე მან ჩამოაყალიბა საკრებულოს რეგლამენტის ის მუხლები და პუნქტები, რითაც დეპუტატებს საშუალება ეძლევა საკრებულოს სხდომაზე განახორციელონ უფლებამოსილება მოსახლეობისა და ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე. ამის შემდეგ ორი თვე გავიდა წინა სხდომიდან დღემდე და არანაირი პასუხი არ მიუღია. გარდა ამისა საბავშვო ბაღებთან მიმართებაში 3000 ბავშვი არის დარჩენილი ბაღის გარეშე, სულ მალე ქალაქში ცათამბჯენები აშენდება საერთოდ ადგილიც კი აღარ იქნება რაიმეს აშენებისთვის, გარდა ამისა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ის არის ნდობით აღჭურვილი პირი, უბრალოდ მას ცხვენია, როცა აქედან გავა პარკირებასთან და ქვაფენილებთან დაკავშირებით რომელი ერთი ინიციატივა ჩამოთვალოს, ჰქონდა დეტალურად ჩამოთვლილი და ფაქტობრივად დასაბუთებული განცხადება, დღეს ქვაფენილის ნაცვლად ორმოები გაჩნდა. დეპუტატებს არ ეძლება მისი გაკონტროლების ფუნქციები. გამომდინარე აქედან აზრს ვერ ხედავს შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობას, ეს არის დეპუტატისთვის უფლებამოსილების აბუჩად აგდება, როდესაც 4 წლის განმავლობაში მოსახლეობის 600-ზე მეტი საკითხი აქვს დაყენებული, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, როგორც ქალაქისთვის, ასევე მოსახლეობისთვის. ის აზრს ვერ ხედავს საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღოს და თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტყარაძე - დღევანდელი სხდომა არის უკანონო, რადგან არ ცნობენ საკრებულოს ახალ შემადგენლობას. სხდომას ესწრება არჩევნების გაყალბებაში მონაწილე აქტივისტები, რის გამოც დემონსტრაციულად ტოვებს სხდომათა დარბაზს.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - კანონდარღვევას არ აქვს ადგილი, რადგან ძველ საკრებულოს წევრებს უფლებამოსილება უწყდება მაშინ, როდესაც ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ჩაინიშნება და მოხდება უფლებამოსილების ცნობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქი ვითარდება და თუ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დასჭირდება სხდომის ჩატარება მზადაა ჩაატაროს, მანამ სანამ ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდება.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე - დღეს მთავარი და მნიშვნელოვანი პრობლემა ქვეყანაში კოვიდპანდემიაა, დღითიდღე ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა მატულობს, ამიტომ მუნიციპალიტეტებმა მაქსიმალურად უნდა იმუშაოს მოსახლეობის ასაცრელად. გუშინ ნახა სიუჟეტი ავტობუსებთან დაკავშირებით, ქალაქში შემოყვანილი ავტობუსთა რამდენიმე ერთეული გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტს, გახარებული არიან ამით. ბიუჯეტში უნდა მოხდეს

ავტოტრანპორტის განახლების გათვალისწინება. მომავალ საკრებულოს და მერს წარმატებები უსურვა.

საკრებულოს წევრი დავით მახარაძე - გამოეხმაურა ნაზი ფუტკარაძის განცხადებას და აღნიშნა, რომ არჩევნები, რომ გაყალბებულიყო საკრებულოს წევრი ვერ იქნებოდა. ასევე აღნიშნა, რომ ბათუმი გახდა იუნესკოს ახალი კრეატიული ქალაქი „მუსიკალური ბათუმი“. მიულოცა ყველას, ქალაქს ეს დიდი წარმატება. გარდა ამისა, მოსაწესრიგებელია კედლებზე წარწერები.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 29 სექტემბერს შემოსული, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის №2896-გ კორესპონდენციით (მერიაში რეგისტრაციის №10-1421272564-14, 29,09,2021წ) განმარტებული იქნა, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის გამაგრების პროექტის ფარგლებში დაასრულა ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის 2016 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულება ვადის ამოწურვის გამო შეწყდა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 14 ივლისის №ბ14.142119516 ბრძანებით. მათივე განმარტებით, ამჟამად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურას. ხსენებული პროცედურის დასრულებამდე ბათუმის ნაპირდაცვის პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები მოქმედი კანონმდებლობით უნდა იმყოფებოდეს ფონდის სარგებლობაში და ასახული უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებში. გამომდინარე აღნიშნულიდან, ითხოვენ უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 5 (ხუთი) თვის ვადით სარგებლობაში გადაცემას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებებს: ს/კ №05.32.04.706; ს/კ №05.32.03.798; ს/კ №05.32.03.789; ს/კ №05.32.03.978; ს/კ №05.32.03.979; ს/კ №05.32.03.652, ს/კ №05.32.12.030; ს/კ №05.32.03.629; ს/კ

№05.32.14.114, ს/კ №05.32.12.136; ს/კ №5.32.14.108; ს/კ №05.32.14.109; ს/კ №05.32.14.111; ს/კ №05.32.03.544; ს/კ №05.32.03.545; ს/კ №05.32.04.731.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის სანაპირო ზოლის გამაგრების პროექტის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 05 თვის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მიწის ნაკვეთები:

1. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 9106,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.04.706
2. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 1319,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.798
3. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 793,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.789
4. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 3008,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.978
5. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 9457,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.979
6. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (ახალი ბულვარი) მდებარე 892,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.652
7. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 2668,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №N05.32.12.030
8. ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე (ახალი ბულვარი) მდებარე 1 476,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.629
9. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 2510,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.14.114
10. ქ. ბათუმში, კაჩინსკების ქუჩაზე მდებარე 2194,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.12.136
11. ქ. ბათუმში, ახალი ბულვარი 2 ტერიტორიაზე მდებარე 2100,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.14.108
12. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 186,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.14.109
13. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 1028,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.14.111
14. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 1101,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.544
15. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 1001,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.03.545
16. ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 4286,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №05.32.04.731

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 29 ოქტომბრის N5036/02 (N07-1421302348-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 24 სექტემბრის N05/3075 კორესპონდენციით დაისვა საკითხი სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების, იქ მცხოვრები ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2020 წლის 6 ოქტომბრის N01-01-10/3893 კორესპონდენციით მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო აუცილებელი პროცედურების განხორციელების თაობაზე, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 08 (რვა) ბინა თანახმად დანართისა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოთაღნიშნული ბინები გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2(დ. ჭეიშვილი, ა. მამულაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 08 ნოემბრის N5152/02 (N07-14213121142-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ დაისვა საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, ადგილზე დათვალიერებული იქნა უძრავი ქონებები (საცხოვრებელი ბინები) და მზადდება საკითხი კომისიის მიერ განსახილველად. შემდგომში, უძრავი ქონებების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ტბეთის ქუჩაზე, ბათუმის N31 საფოსტო განყოფილების მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 15 ოქტომბრის N4966/02 (N07-1421288305-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ მიერ გამოითქვა მზადყოფნა, შესაბამისი დაფინანსების პირობებში, უზრუნველყოს ქალაქ ბათუმში, ტბეთის ქუჩაზე, ბათუმის N31 საფოსტო განყოფილების მიმდებარედ არსებული (ს.კ. 05.30.24.001) ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“-ს ადმინისტრაციული შენობისა და სასტუმროს, ასევე ღია და დახურული კორტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და შემდგომში, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. უძრავი ქონება- ს.კ. 05.30.24.001, რომელიც უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“-სათვის (ს/ნ 445415355), წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მოცემული პროექტის განხორციელების მიზნით აუცილებელია ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ტბეთის ქუჩაზე, ბათუმის N31 საფოსტო განყოფ. მიმდებარედ არსებული 5111,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2 და N3 შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი: 1468,90 (საკადასტრო კოდი: N05.30.24.001) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე - სპორტი მისთვის მნიშვნელოვანია და ეს პროექტი კარგია, რადგან ჰყავთ კარგი სპორტსმენები და ფიქრობს, რომ ამ სფეროსთვის ბევრი რამ კეთდება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ნოემბრის N5186 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/-ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქუჩა N4-ში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 სექტემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 სექტემბრის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტში სადაც მოცემული ტერიტორიისთვის ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური

ზონირების რუქის შესაბამისად საროექტო ტერიტორი მიეკუთვნება საკურორტო ზონას და წარმოადგენს შერეული ზონის (შზ-4) ქვეზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას სადაც განსაზღვრული კოეფიციენტებია:

ა) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0,2;

ბ) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი;

გ) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების კოეფიციენტია (კ-3) - 0,8 .

საპროექტო გადაწყვეტით დაგეგმილია ტერიტორიის ძირითადი ნაწილის დატვირთვა საცხოვრებელი შზ-4 ზონ - ით და სატრანსპორტო ტერიტორიებით.

არსებული მიწის ნაკვეთების (ს. კ. 05.36.24.827, 05.36.24.828, 05.36.24.608 და 05.36.24.805) განვითარების მიზანია დაბალი ინტენსივობის სასტუმრო ფუნქციის მქონე ელიტალური ვილების მშენებლობა, დაინტერესებული პირის მიზანია ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება, რაც არსებითად არ აისახება დადგენილი ზონის მოთხოვნებზე.

კერძოდ განსაზღვრულია:

1) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური (კ-1) კოეფიციენტი 0.2 მაჩვენებლიდან გაიზარდოს 0,5-მაჩვენებლამდე.

2) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრიდან შემცირდეს 9 მეტრამდე;

3) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების (კ-3) კოეფიციენტი- 0,8 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,5-მაჩვენებლამდე.

4) დასაპროექტებელ ვილებს შორის მიჯნის ზონებით დადგენილი მანძილები შემცირდეს 3 მეტრამდე.

საპროექტო დავალების შესაბამისად ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლილების სანაცვლოდ რასაც ითვალისწინებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტი, გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ განსაზღვრულია 4825,0 კვ.მ ფართის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, ასევე განსაზღვრულია ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მითითებულ ადგილას საკუთარი ხარჯებით 25 ადგილიანი ღია ავტოსადგომის მოწყობა არაუმეტეს 500 კვ.მ ტერიტორიაზე .

ადგილმდებარეობა საპროექტო მიწის ნაკვეთები (ს. კ. 05.36.24.827, 05.36.24.828, 05.36.24.608 და 05.36.24.805) საერთო ფართით 20469,0 კვ.მ მდებარეობს ქ. ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18-ის, მიმდებარედ გონიოს დასახლებაში შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ტერიტორიაზე, რომელიც ბათუმის ცენტრიდან დაშორებულია 12 კმ-ით. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გადასაცემი ბინების დანართი წარმოდგენილია ცვლილებით. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პრეამბულაში ამოღებულ იქნა -„წინადადება შპს „გონიო-2020-ს“ (ს/N445569698) განცხადების საფუძველზე“, დადგენილების პროექტი წარმოდგენილია ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13

არ ესწრებოდა: 3(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს: 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 მარტის N21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, რუშთაველის ქუჩის გაგრძელებაზე (ს/კ 05,23,04,021) მდებარე მარტივი ფორმის მქონე მიწის ნაკვეთზე დამისი ფართი შეადგენს 18815,0 კვ.მ. წარმოდგენილი ნაკვეთი განლაგებულია სანაპირო ზოლში ბათუმის ბულვარის მიმდებარე ერთ-ერთ უაღმაზეს შავი ზღვის სანაპირო ზოლში ბათუმის დასავლეთ პერიფერიულ ნაწილში. ზღვის სანაპიროდან 200 მეტრში საპროექტო ტერიტორიას დასავლეთისა და ჩრდილოდასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო ზოლის საზღვარი ხოლო დანარჩენი მხრიდან ესაზღვრება ქალაქის კვარტალური განაშენიანება. რელიეფი თითქმის უცვლელია და შედგება ქვიშა ხრეშოვანი გრუნტისაგან. სეისმური დარაიონების რუქის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 7 ბალიან სეისმურ ზონას.

შეთანხმებული პროექტის მიხედვით: ქ. ბათუმში, რუშთაველის ქუჩის გაგრძელებაზე (ს/კ 05,23,04,021) 2019 წლის 25 აპრილის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N#10 დადგენილებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. რიტაც განისაზღვრა შემდეგი ქალაქგეგმარებითი პარამეტრები:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართი - (კ-1) -0,7

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის ფართი - (კ-2) -4,0 მდე

გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების ფართი 1 (კ-3) -0,1

და გაიზარდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა -2-ში კ-2 კოეფიციენტი 15,0 მაჩვენებლით

ა ბლოკი - ±0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 164.70 მ.

ბ ბლოკი - 0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 184.50 მ.

ც ბლოკი - ± 0.00 -დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 164.70 მ.

შენობანაგებობის არქიტექტურული ელემტის ნიშნული შეადგენს 200.50 მ.

კ-2 კოეფიციენტი განისაზღვრა 15,0

წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს შემდეგს:

ა ბლოკი - ± 0.00 -დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 180.30 მ.

ბ ბლოკი - 0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 198.30 მ.

ც ბლოკი - ± 0.00 -დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 180.30 მ.

შენობანაგებობის არქიტექტურული ელემტის ნიშნული შეადგენს 230.00 მ.

კ-2 კოეფიციენტი განისაზღვრა 18,0

ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის დადგენილება #59 (ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე), მუხლი 8, მუხლი 9 და მუხლი 10-ის მოთხოვნების შესაბამისად მიღებული კოეფიციენტები უნდა დამრგვალდეს

მეთაუდის სიზუსტით, ჩვენს მიერ მოთხოვნილი კოეფიციენტების გაზრდილი მაჩვენებელი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ა) კ-1 კოეფიციენტი დარჩეს უცვლელი 0,7

ბ) კ-2 კოეფიციენტი გაიზარდოს 15-იდან 18-მდე

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი დავით მახარაძე - მოსაზრების სახით აღნიშნა, რომ სამი საართულის დამატება გააღამაზებს, მაგრამ ზაფხულის განმავლობაში დელფინარიუმს სტუმრობს ძალიან ბევრი ადამიანი და იქ გადასასვლელი იწვევს საცობს. ფაქტიურად ქალაქის ნაწილი პარალიზებულია ამ გადასასვლელის გამო და მეორე ეტაპის დროს კარგი იქნება მოხდეს ხიდის მშენებლობის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13

არ ესწრებოდა: 3(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. მამულაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აპრილის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აპრილის N39 დადგენილებაში ცვლილებების თაობაზე“ დადგენილების პროექტი. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა, ცვლილების საჭიროება მდგომარეობს შემდეგში: იცვლება საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულება, ნებართვით დამტკიცებული 7 სართულის ნაცვლად წარმოდგენილია 8 სართული. დაგეგმილია სააგარაკე სახლის და სპორტული და გასართობი შენობის მოწყობა. განაშენიანების ინტენსივობის ფართობი შეადგენს 8850.00 მ.-ს . მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პრეამბულაში ამოღებულ იქნა წინადადება „მპს მწვანე კონცხი - ბოტანიკოს“ (ს/N404600339) განცხადების საფუძველზე“. დადგენილების პროექტი წარმოდგენილია ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13

არ ესწრებოდა: 3(ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი. თავართქილაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი